

მონიტორინგის მთავარი მიზნები

10-16 მარტის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სიძულვილის ენა კვლავ ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ იყო გამოხატული (ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება; სოსო რობაქიძე);
- კონკრეტული პირის მიმართ ფიზიკური ძალადობისკენ მოწოდებას და მის დისკრიმინაციას (ფსიქიკურ ავადმყოფად მოხსენიებას) პარლამენტის ვიცე-სპიკერის (მურმან დუმბაძე, ქართული ოცნება) მხრიდან ჰქონდა ადგილი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა დისკრიმინაცია, პოლიტიკური ოპონირების კონტექსტში, ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის (გიორგი უკლება) მხრიდან გამოიხატა;
- სუროგატი დედების და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების სტიგმატიზებას კი სასულიერო პირი (ილია ჭილაძე, მღვდელთმსახური) ახდენდა;

გაგრძელება გვ. 2

4, 10-16 მარტი



სიკულვილის ენა

ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი

ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება: "მაშინ, როდესაც ეს დამნაშავეები [საკავშირი და ნაციონალური მოძრაობის წევრები] ციხეებში უნდა ლპებოდნენ, მათ ტელევიზიებს უთმობენ და ჭკუიდან გადაყვავართ ისედაც გამწარებული ხალხი!"

სოსო რობაქიძე: "საკავშირი უნდა ჩააღებოდა ციხეში!"

ძალადობისკენ ღმერთობა

მედია საშუალებებმა (რუსთავი 2, კურიერი, 10 მარტი; საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 10 მარტი; იმედი, ქრონიკა, 12 მარტი; გაზეთი "ალია", 11 მარტი; სააგენტოები: ინტერპრესნიუსი, რეპორტიორი, ნეტგაზეთი, 10 მარტი) გააშუქეს პარლამენტის ვიცე-სპიკერის მურმან დუმბაძის მხრიდან პარტია "თავისუფალი საქართველო" ხელვაჩაურის ორგანიზაციის ხელმძღვანელის მერაბ ლოლობერიძის მიმართ დისკრიმინაციული გამოხატუებები და ფიზიკური ძალადობისკენ წაქეზების მოწოდება.

მურმან დუმბაძე, ქართული ოცნება: „ჩვენ ბოლო 5-6 თვის განმავლობაში სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის შესრულებას ვერ ვახერხებთ“

გაგრძელება გვ. 3

შინაარსი

შშმ პირების დისკრიმინაცია	3
სუროგატი დედების და სუროგაციის გზით დაბადებულთა სტიგმატიზება	3
ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია...	4
საფრთხეებზე დაუსაბუთებელი აპელირება	4-5
რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	5
ანტიდასავლური განწყობები	7
სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია	9
გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია	9
ცრურწმენები	9

მონიტორინგის მთავარი მიზნები

დასაწყისი გვ. 1

- ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას, მოქალაქეობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების განმარტებისას, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის (თამაზ ავდალიანი) მხრიდან ჰქონდა ადგილი; სხვა შემთხვევებში კი დისკრიმინაციის წყარო მედია (გაზეთები: "პრაიმ ტაიმი" და "ასავალ-დასავალი", მედია-კავშირი "ობიექტივი") იყო;
- რესპონდენტები (ელიზაბრ ჯაველიძე, სახალხო კრება; არნო ხიდირბეგაშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი; მაყურებელი) საფრთხეებზე დაუსაბუთებელ აპელირებას საქართველოს ნატოში გაწევრიანებისა და რუსეთის შესაძლო დამლის კონტექსტში ახდენდნენ და ამ თვალსაზრისით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სეპარატიზმის შესაძლებლობაზე უთითებდნენ, ამასთანავე ანტითურქული განწყობების გაღვივებას ახდენდნენ;
- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციამ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსს რუსუდან გოცირიძის დაჯილდოვების გამო იჩინა თავი. ეს ქმედება როგორც ჟურნალისტის (Geworld.ge), ასევე რესპონდენტების (ირაკლი უბილავა, ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის წევრი; შოთა აფხაიძე, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი) მხრიდან შეფასებული იყო როგორც მართლმადიდებლობის, ქართული ღირებულებების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი და ევროკომისარ შტეფან ფულეს მიერ პატრიარქისთვის მიცემული პირობის დარღვევა;
- პოზიტიურია, რომ იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ ხობში გამართული საპროტესტო აქციის გაშუქებისას (სააგენტოები "პირველი", "ინტერპრესნიუსი"), ჟურნალისტებმა თავად იეჰოვას მოწმეთა პოზიციაც წარმოადგინეს. თუმცა სააგენტო "პირველის" სხვა ინფორმაცია იეჰოვას მოწმის მხრიდან მეუღლეზე ძალადობის შესახებ, ფაქტობრივი თვალსაზრისით, დამაჯერებლობას მოკლებულია და ხელს უწყობს სტერეოტიპის დამკვიდრებას, რომ იეჰოვას მოწმე, მოძალადეა;
- ანტიდასავლური განწყობები ძირითადად ევროსაბჭოსა და ევროკავშირის იმ დოკუმენტებს უკავშირდებოდა, რომლებიც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრას უკავშირდება; ასევე უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს და ამ პროცესში ამერიკის, როგორც "მართლმადიდებლობასთან მეზობლის" წარმოჩენას. ამგვარ განწყობებს კი ძირითადად სასულიერო პირები (დავით ისაკაძე, დეკანოზი; ელიზაბრ დიაკონიძე, დიაკონი), რესპონდენტები (ელიზაბრ ჯაველიძე, სახალხო კრება; ნანა დევდარიანი, ყოფილი სახალხო დამცველი) და მედია საშუალებები ("ასავალ-დასავალი", ობიექტივი, საქინფორმი, Geworld.ge) აღვივებდნენ;
- გაზეთ "რეზონანსში" გამოქვეყნებული სტატიის სათაური "ჰოლივუდის ვარსკვლავები, რომელთაც ჰომოსექსუალები სძულთ", ლგბტ პირების მიმართ სიმპლულიზის გაღვივებას უწყობს ხელს და შეუსაბამოა თავად მასალის შინაარსთან;
- ერთ შემთხვევაში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის წყარო ჟურნალისტი (გაზეთი "კვირის ქრონიკა") იყო; ხოლო მეორე შემთხვევაში ჟურნალისტმა (ტაბულა, "თეორემა") რესპონდენტის მხრიდან გენდერულ სტერეოტიპზე რეაგირება მოახდინა;
- 17 მაისის მოსალოდნელი აქცია "დასავლეთის რეაქციული წრეების" და "სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის" მზაკვრულ გეგმად იყო წარმოდგენილი ("ასავალ-დასავალი"), ხოლო სასულიერო პირის (დავით ისაკაძე, დეკანოზი) მხრიდან ლგბტ პირების უფლებრივი საკითხის საკანონმდებლო რეგულირების მიზნით პლემბისციტის ჩატარების აუცილებლობაზე იყო ყურადღება გამახვილებული;
- ცრურწმენები ავიაკომპანია აირზენას ილუმინატორზე წმინდანის გამოსახვას (საქინფორმი), ასევე ID ბარათებს უკავშირდებოდა.

კალალოზისკენ წაქეზება

დასაწყისი გვ. 1



ამ ავადმყოფი კაცის გამო. ეს არის ფსიქიკურად დაავადებული. ავადმყოფია ეს კაცი... დაგისახელებთ გვარებს, სახელებს, ვინც ბოლო სამი დღის განმავლობაში ეს კაცი ცემა. ამირან ცეცხლაძე არის ჩემი მეგობარი, როცა ფეისბუქზე წაიკითხა, გუშინწინ მაგრა უცემია. კვირაში ორჯერ მძლოლები ცემენ. ეს არის ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ავადმყოფი ადამიანი... დედას ვინც შეგაგინებს, იმას პასუხი უნდა გასცეთ... მე არ ვუკრძალავ არც ჩემს შვილს, არც ჩემს ძმას, არც ჩემს მეგობარს, არც მხარდამჭერს, არც ნებისმიერ მოქალაქეს, დედის შემგინებელი ადამიანი უნდა იცემოს“.

http://www.myvideo.ge/?video_id=2282168

http://www.myvideo.ge/?video_id=2281843

შუბ პირების დისკრიმინაცია

პირველი, 14 მარტი

გიორგი უკლება, ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე: „ჯერ ერთი, რომ სრული დაუნიზმი იყო, ქუთაისის სასაწყობზე ქალაქად გადამქცევი მერობის კანდიდატის, ვინმე ხატია ვედმედევას ოპერის მმართველად დანიშვნა, ახლა იმ სისულელეების მოსმენა, რომ ბოლო დროს გახმაურებულ საბიუჯეტო გადარიცხვებთან დაკავშირებით, „ნაციონალები“ აქტიურობენ და ამ ხერხით ებრძვიან ოპერის მმართველს, დაუნიზმსაც სცდება.“



(გაზეთ "ქრონიკა +"-ზე დაყრდნობით).

http://pia.ge/show_news.php?id=7459&lang=geo

სუროგატი დედების და სუროგაციის გზით დაბადებული სტიმულები

პირველი, 12 მარტი



ილია ჭილაძე, მღვდელთმსახური: „სუროგატი დედა სხეულს აქირავებს, რაც, პრაქტიკულად, არის მრუშობა სექსუალური კავშირის გარეშე. სუროგატ დედას არ შეუძლია და არც აქვს უფლება უყვარდეს მუცლად მყოფი შვილი, რადგან იგი უნდა გაასხვისოს. სწრედ ამიტომ, სუროგაციით გაჩენილი ბავშვი უსიყვარულობით ნაშობია, მაშინ როდესაც მუცლად მყოფი ბავშვი მთელი სისხვით გრძნობს დედის ყოველ იმპულსს... ასეთი სახის არაბუნებრივი ჩარევა ბაბილონის გოდლის მაშენებელთა სულისკვეთებას ჰგავს: გაეტოლონ ღმერთს! ეს კი, რა თქმა უნდა, მკრეხელობაა“.

http://pia.ge/show_news.php?id=7148&lang=geo

ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია და ეთნიკური კუთვნილების დაუსაბუთებელი იდენტიფიცირება

ალია, 12 მარტი

თამაზ ავღალიანი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: "ამ კანონპროექტის [მოქალაქეობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები] არსი და მიზანია, რომ საქართველოში დაბადებულმა ადამიანებმა, მათმა შთამომავლებმა მიიღონ მოქალაქეობა გართულებებისა და პრობლემების გარეშე, ხოლო დანარჩენები, რომელთაც საერთოდ არ ჰქონიათ შეხება საქართველოსთან, მაგალითად, ვინც აფრიკიდან ჩამოვიდა, მათ უკვე სულ სხვა კრიტერიუმები ექნებათ. გინდა სომხეთი იყოს და გინდა სხვა მეზობელი ქვეყანა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ყველასთვის ერთნაირი იქნება. თავისუფლად არ უნდა გაიცეს მოქალაქეობა, იმიტომ რომ მოქალაქეობა ვალდებულებასა და კიდევ უამრავ სხვა რამეს ნიშნავს და იმის ფონზე, რომ ჩვენ ვვითარდებით, ზედმეტი მუქთახორები ნამდვილად არ გვჭირდება."



პრაიმ ტაიმი, 10 მარტი

მირიან ბოძოლიშვილი, ჟურნალისტი: "გიგა ფარტენაძეს ყაჩაღობისთვის 16 წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, თუმცა როგორც ოჯახის ახლობლები ამბობენ, მას თავის დროზე, ბრალი არასწორად წარუდგინეს და სინამდვილეში, თურქი ეროვნების მეზობელ მამაკაცთან მოუხდა შელაპარაკება."

ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი
ღარიბაშვილი ბრიგვიანს ავრთხილვას!

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: "კი მაგრამ რა გამოცდილება უნდა გაუზიარონ სააკაშვილმა და ბიძამისმა გრიგოანის [იულია ტიმოშენკო] ხელისუფლებას, რომელსაც დღე-დღეზე რუსეთი ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინას ჩამოაჭრის?!"

ოპიქტივი, ღამის სტუდია, 14 მარტი

ნინო რატიშვილი, წამყვანი: "ქართული მიწების უაპელაციო გაყიდვა, მხოლოდ იმიტომ, რომ აი, ეს ინვესტორი ჩვენ ძალიან გვჭირდება, ნუთუ სახელმწიფომ არ უნდა გამოიჩინოს და ეს კანონმდებლებსაც ეხება, რაღაც ისეთი მიდგომები, რომ მიწა არ გაიყიდოს, გადაეცეს სარგებლობაში, რაღაც გარკვეული ვადით, მაგრამ არანაირი უცხოელი, არავინ არ იყოს ქართული მიწის მეპატრონე?! აჭარაში სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგევართ იმიტომ, რომ ამაზე ხომ ვთანხმდებით, ეს ხომ ჭორი არ არის, აჭარის მიწა არის გაყიდული და მისი მფლობელები უკვე ქართველები აღარ არიან. უცხო ქვეყნის და ძირითადად თურქეთის მოქალაქეების საკუთრებაა აჭარის უდიდესი ნაწილი."

საერთო მუხამ დაუსაბუთებელი აკელირება და სპეკულაცია

ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი

არნო სიდირაშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი: "...ამის შემდეგ კი საქართველოს დამლას გააგრძელებს, რომელსაც ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები გამოეყოფა, საქართველოს შესვლას ნატოში და ევროკავშირში ისევე რომ არ ეთანხმებიან, როგორც მათი ისტორიული სამშობლოები - აზერბაიჯანი და სომხეთი და როგორც ეს, ალბათ უკრაინაში ყირიმში მოხდება?"

გაგრძელება გვ. 5

საფრთხეზე დაუსაბუთებელი აკვირება და სკიპულაცია

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 4 მარტი

მაყურებელი [სატელეფონო ჩართვა]: "აი, როცა ჩვენ ნატოში შევალთ, თურქეთი, რომელიც ჩვენი დაუპინებელი მტერია და ახლაც უნდა რომ ჩვენი ტერიტორიები წარიტაცოს; აი, აზერბაიჯანიც, რომელიც მუსულმანია და ჩვენც გვედავება ჩვენ ტერიტორიებს და ჩვენ ვიცით, რა გააკეთა, როდესაც გვედავებოდა ტერიტორიებს და ახლაც გვედავება და ჩვენი ბერები გამოაგდო და გამოაძევა და ტურისტებს არ უშვებდა დავით გარეჯში... რა გარანტია გვაქვს, რომ ჩვენ როცა შევალთ ნატოში, თურქეთი და აზერბაიჯანი არ გაერთიანდება საქართველოს წინააღმდეგ?"

პოზიტიურია, რომ აღნიშნულ სატელეფონო ზარზე რეაგირება გადაცემის სტუმარმა მოახდინა და ეთნოცენტრისტული მიდგომების გამო, ყურადღება პოლიტიკური კლასის პასუხისმგებლობაზე გაამახვილა.

ალექსანდრე რუსმცკი, ფსიქოლოგი: "ის აზერბაიჯანელია, ის თურქია და ა.შ ხომ, ეს არის კლიშეზე აყოლიება, რაზეც 90-იანი წლების დასაწყისში აგვიყოლია რუსეთის სპეცსამსახურებმა და არა მხოლოდ მათ. მე მინდა ვუთხრა ჩვენს პოლიტიკოსებს, რომლებიც აღწერენ პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ პროცესებს ეთნოცენტრისტული ენის სტრუქტურით, რომ ძალიან დიდ შეცდომას უშვებენ."
http://www.myvideo.ge/?video_id=2284364

ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი

მლიზბარ ჯამელიძე, სახალხო კრება: "რუსეთი რომ დაიშალოს, აფხაზეთი და სამაჩაბლო უკან დაგვრჩება! ჯერ ჩრდილოკავკასიელთა ურდოები წალეკავენ საქართველოს ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად! შემდეგ კი თურქეთი დაგვმართებს დასამართებელს!"

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

GEWORLD.GE 12 მარტი

მაკა ნასყიდაშვილი, ჟურნალისტი: "სულ ახლახან საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ამერიკაში მიშელ ობამამ ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე დააჯილდოვა «სიმამაცისთვის»... და ეს მაშინ მოხდა, როდესაც შტეფან ფულე ილია მეორეს ხვდებოდა, პირობას დებდა, რომ თქვენს სულიერებასა და ეკლესიას არ შევეხებით და თქვენც, თქვენი მხრიდან, ყველაფერი გააკეთეთ, რომ ქართველი ერი ევროპისკენ წავიდესო.

როდის უნდა შემოჰკრას განგამის ზარი პატარა, მაგრამ დიდი ტრადიციების მქონე ერმა? მაშინ, როდესაც საკუთარი ხელისუფლება ქართული ენის, თვითმყოფადობის, სულიერების

ამომირკვის საფრთხის მოტივით ევროპასთან თუ ამერიკასთან გაახლოვებს, ყველაფერ ეროვნულს გისპობს და დასცინის? იქნებ მაშინ, როდესაც გეიალუმს გიწყობენ, სასულიერო პირებს ადამიანის უფლების დარღვევაში, უმცირესობის დამცირებაში, ხულიგნობასა და ბოროტებაში სდებენ ბრალს?"

ირაკლი უბილაშა, ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის წევრი: "...მსგავსი დაჯილდოვება ხდება იმ ფონზე, როდესაც შტეფან ფულე პატრიარქთან შეხვედრისას, პატრიარქსაც და ქართულ საზოგადოებასაც არწმუნებდა, რომ ტრანსსატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია არავითარ საფრთხეს არ უქმნის ქართულ ღირებულებებსა და ცხოვრების წესს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ."

გაგრძელება გვ. 6

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

დასაწყისი გვ. 5

შოთა აფსაიძე, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი: "ამერიკამ ამ ნაბიჯით [რუსუდან გოცირიძის დაჯილდოვება] აშკარად დაგვანახა, რომ ის თავის მოკავშირეებს ყოველთვის დაუდგება გვერდით, რომ მისთვის უფრო პრიორიტეტულია ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, ვიდრე მართლმადიდებლური..."



უნდა დავადგინოთ და დავაზუსტოთ, რომ სექტების მოქმედება ანტიკონსტიტუციურია, ქვეყნის მოქალაქეებს საფრთხეს უქმნის, საქართველოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა, რაც კანონით უნდა აღიკვეთოს... უნდა მოხდეს ყველა საეჭვო ორგანიზაციის საქმიანობის კვლევა, უნდა კონტროლდებოდეს მათი ფინანსები. უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პოლიტიკაში, მათ აქვთ რევანშის სურვილი, მხარს უჭერენ სააკაშვილს."

<http://geworld.net/View.php?ArtId=5714&Title=miSel+obama+qarTvel+ba ptisteb+lobirebs&lang=ge>

პირველი, 12 მარტი

სააგენტოს ინფორმაციაში "იელოვას მიმდევარმა მამაკაცმა მეუღლე შვილის ქრისტიანად მონათვლის გამო სასტიკად სცემა" არ არის იდენტიფიცირებული არც წყარო, არც პირთა ინიციალები, ხოლო ილუსტრაციად მოყვანილია ქალის ცემის აბსტრაქტული სურათი. მასალას, რომელსაც ფაქტობრივი თვალსაზრისით დამაჯერებლობა აკლია, ხელს უწყობს სტერეოტიპის დამკვიდრებას, რომ იეჰოვას მოწმე, მოძალადეა.

http://pia.ge/show_news.php?id=7271&lang=geo

პირველი, 14 მარტი

სააგენტომ ორი ინფორმაცია მიუძღვნა ხობში მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილობრივი მრევლის საპროტესტო აქციას იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ. პირველ ინფორმაციაში მოყვანილია აქციის მონაწილეთა მოთხოვნა, იეჰოვას მოწმეთა მიმართ შეზღუდვების დაწესების თაობაზე, ხოლო მეორეულ ენაზე ბიზლის თარგმნა აქციის მონაწილეთა მიერ სეპარატიზმის გაღვივებად არის შეფასებული.

მიუხედავად თავად აქციის მონაწილეთა დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა, პოზიტიურია, რომ პირველ ინფორმაციაში ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ რედაქცია თავად იეჰოვას მოწმეებს კომენტარისთვის დაუკავშირდა, ხოლო მეორე ინფორმაციაში მთლიანად იეჰოვას მოწმეთა სასულიერო პირის ჯონი შალამბერიძის განცხადება ასახა, რომ მეგრულ ენაზე ლიტერატურის გავრცელება მიზნად ისახავს მოსახლეობას გასაგებ ენაზე მიაწოდონ მასალა და ეს პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

http://pia.ge/show_news.php?id=7472&lang=geo

http://pia.ge/show_news.php?id=7489&lang=geo

ინტერპრესნიუსი, 14 მარტი

სააგენტო პირველის მსგავსად, ხობში რელიგიურ ნიადაგზე არსებულ დაპირისპირების გაშუქებისას, ინტერპრესნიუსს ინფორმაციაში ორივე მხარის პოზიცია აქვს წარმოდგენილი.

<http://www.interpressnews.ge/ge/regioni/273819-khobshi-mosakhleobis-natsili-iehovas-motsmeebis-darbazis-msheneblobis-datsyebas-aprotesteb.html?ar=A>

რელიგიური თემებზე სპეკულირება

ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი

"გახსოვდეთ: "TBC ბანკში" შეტანილი თქვენი ფული ღვთისმშობლის და მკრეხელური ლიტერატურის გამოცემასაც მოხმარდება!"

"დიახ, [პაატა] შამუგია [პოეტი] და მის-თანები გავეშებულნი აწყდებიან დედა სამშობლოსა და დედა-ეკლესიის აუღებელ ბასტიონს, სურთ დაღწიონ იესოს ჯვარცმულ სხეულთან დანთებული კელაპტრები, რათა შემდგომ საქართველო თავისუფლად ჯიჯგნონ ათასი ჯურის მანქურთებმა და იანიჩარებმა."

ოზიმატივი, ღამის სტუდია,
10 მარტი

ირინა სარიშვილი, პარტია იმედი:

"1917 წლის რევოლუცია თავისი ლენინით... ეს რომ რუსული მოვლენა არ იყო, მე მგონი დღეს ამაზე არავინ არ დაობს. აი, ეს რაღაც ზოგადად მასონებზე და რაღაცეებზე რომ ვლაპარაკობთ, იმ

პერიოდიდან ამოქმედებულია მანქანა... რუსეთის, როგორც მართლმადიდებლობის ყველაზე დიდი ტერიტორიული კერის წინააღმდეგ."

http://www.myvideo.ge/?video_id=2280613;

ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი

გიორგი გიბაური ჟურნალისტი:

"გაბრიელ ბერის წმინდა ნაწილების პატივსაცემად მისული ასობით ათასი ადამიანის შემხედვარე, ნაცები, ნაცმერეკილი ლიბერასტები და მათი დასავლელი პარტნიორები გულზე სკდებიან! რატომ? იმიტომ რომ საქართველოში ევროამერიკიდან ქართველთმომულე ნაცებზე, მათ კიკუ-ოპოზიციანზე, გრანტიჭამია ასო-ებზე, გაბორდებულ ტელევიზიებზე და სხვადასხვა ჩამოსხმის ბუღაძე ამადლებულეებზე დახარჯული ასობით მილიონი დოლარის მიუხედავად, მარადიული ქართული სული და ათასწლოვანი ქართული ეკლესია არნახულად ზეობს."

რელიგიური და სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

საქინფორმი, 10 მარტი

"ისლამშიღებული რელიგიათმცოდნე მაქსიმ შევჩენკოს სახელი კარგადაა ცნობილი საქართველოში ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროიდან, როცა მან ქართველებს „სისხლიანი აბანო“ მოუწყო... პოლიტიკური ორიენ-ტაციით - ნაციონალისტი, ბანდერელი, ნეოფაშისტი და იუდოფობი, სექსუალურით - ჰომოსექსუალი..."

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18093:2014-03-10-17-38-46&catid=101:ucxoeti&Itemid=385#ixzz2vasF144n

ანტიდასავლური განწყობები

ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი

ღამით ისაკაძე, დეკანოზი: "2012 წელს სააკაშვილის ხელისუფლებამ ხელი მოაწერა თანხმობას ევროსაბჭოს რეკომენდაციებზე "სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე". რეკომენდაციებს თუ გავცნობით დარწმუნდებით, რომ მათი მიზანია, წვერი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს

გაგრძელება გვ. 8



ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 7

იძულება შექმნას სამართლებრივ რეპრესიული მექანიზმები, რათა ქართველ ხალხს იძულებით თავს მოახვიონ მისი მრწამსის, ზნეობის, კულტურისა და ტრადიციებისათვის მიუღებელი ცხოვრების წესი!

შტეტან ფულეს დაპირების შესრულება შეუძლებელია, რადგან სექსუალური აღზრდის ევროპული სტანდარტი, რომელიც საქართველოში გამალებით ინერგება, თაობის იმგვარი მსოფლმხედველობით ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, რომ ჰომოსექსუალიზმი და ერთსქესიანი ქორწინება ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნიონ...განათლების სამინისტროს პირდაპირ ევალება სასკოლო პროგრამებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების ჩასმა; სექსუალური შემწყნარებლობის სწავლება, რაც გულისხმობს მოზარდში გადახრის ნიშნების გამოჩენის შემთხვევაში ამ გადახრის შენარჩუნება-სტიმულაციას და არა აღმოფხვრას. ფაქტობრივად ევროკავშირი ბავშვებს არა ოჯახური, კულტურული, ტრადიციული ღირებულებებით, არამედ ლგბტ ნორმებით ცხოვრებას უსახავს."



ნანა დემეტრიანი, ყოფილი სახალხო დამცველი: "2006 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით «ჰომოფობია ევროპაში»... უნდა შეეგუოთ იმას, რომ თქვენს შვილებს სკოლაში თუ ტელევიზიით ცოდვის პატივისცემას ასწავლიან."

GEWORLD.GE 12 მარტი

ნანა დემეტრიანი, ყოფილი სახალხო დამცველი: "2006 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით «ჰომოფობია ევროპაში»... ეს რეზოლუცია გვაავალდებულებს, პატივი ვცეთ იმას, რაც მართლმადიდებლობისა და სხვა ყველა რელიგიის დოგმატით ცოდვად არის მიჩნეული... უნდა შეეგუოთ იმას, რომ თქვენს შვილებს სკოლაში თუ ტელევიზიით ცოდვის პატივისცემას ასწავლიან... თუ საქართველო ოდესმე ევროკავშირის წევრი გახდება, ეს რეზოლუცია სავალდებულო იქნება შესასრულებლად ისევე, როგორც 2010 წელს მიღებული კიდევ ერთი რეზოლუცია 1728 (2010), რომელშიც სხვა ბევრ რამესთან ერთად ნათქვამია: «ასამბლეა განსაკუთრებით შემოფოტებულია ევროსაბჭოს რიგ ქვეყნებში ლგბტ პირთა თავისუფალი შეკრებისა და გამოხატვის უფლებების დარღვევით, რადგან ეს უფლებები დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს..."

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ევროკომისარი, რომლის უშუალო ზემდგომი, ევროკავშირის პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი ერისა და "სამშობლოს ცნების სანაგვეზე მოსროლას" ქადაგებს, ხვდება მართლმართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმკურობელს." <http://geworld.ge/View.php?ArtId=5709>

პირველი, 12 მარტი

ევროპარლამენტის რეზოლუციით, ადამიანის ახალი სქესის შემოღება მოიცავს ორ ქვეკატეგორიას - ტრანსსექსუალი და ინტერსექსუალი ადამიანი, რომელიც ისარგებლებს როგორც მამაკაცის, ასევე ქალის უფლებებით. ბულგარეთი და სხვა ქვეყნები, რომლებმაც ჯერ კიდევ არ მიიღეს გეი-ქორწინება, წახალისებებიან სხვა ქვეყნების მხრიდან, რომლებსაც კარგი პრაქტიკა აქვთ ერთსქესიანთა ქორწინების კუთხით. იმ შემთხვევაში, თუ დირექტივას მიიღებენ და მოიწონებენ, გეი წყვილებს, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში დაქორწინდნენ, ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნიდან ბავშვების აყვანის შესაძლებლობას მიიღებენ, მათ შორის ბულგარეთიდანაც."

ოკიეპტივი, ღამის სტუდია, 15 მარტი

ტელემაყურებელი [სატელეფონო ჩართვა]: "ამერიკის იდეოლოგია არის ბუჟიისკი, და მან ბრძანა, ჩვენ უნდა დავამარცხოთ კომუნიზმი და ამის შემდეგ უნდა დავამარცხოთ მართლმადიდებლობაო. ეხლა კომუნისტური, სოციალისტური ხო აღარ არის რუსეთი, რატომ ებრძვის? ე.ი მართლმადიდებლობის და მართლმადიდებლების მოსპობა სურს და თუ რუსეთმა დაშლა დაიწყო, ეს ვისი ბრალი იქნება რუსეთის თუ ამერიკის?"

ალია, 11 მარტი

გელა ზაფულაშვილი, ჟურნალისტი: "ეს კაცი [ფილიპ დიმიტროვი] ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელია საქართველოში და თავს უფლებას აძლევს ბრძნული გამომეტყველებით გვწყემსოს. არა გეი ქორწინებას არავინ გთხოვთ, მაგრამ ამას მაინც ვერ ასცდებით, უნდა გააცნობიეროთ, რომ ჰომოსექსუალიზმი დანაშაული არ არის "პედერასტიზმი" მაინც უნდა აღიაროთ."

საქინფორმი 10, მარტი

არნო ხილირაგვიშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი: "განა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა, რომელიც გამუდმებით ქადაგებს გლობალიზაციის ხიფათზე, რომელიც ტრადიციული ქართული ეროვნული ღირებულებების განსახიერებას წარმოადგენს და ამის გამო გამუდმებით განიცდის თავდასხმებს ევროამერიკელების და ლიბერტარიანელების მხრიდან, არ იცის - რით ემუქრება საქართველოს და ეკლესიას ეს ნაბიჯი?" http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18073:-10&catid=98:politics&Itemid=457#ixzz2vb0QXdxu

ანტიდასავლური განწყობები

ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: "საქართველოს სამოციქულო ეკლესია მხოლოდ იმ ევროკავშირთან ინტეგრაციას ემხრობა, რომელიც ქართველ ხალხს არ აიძულებს რუსთაველზე გეიპარადებისა და ლესბოსურ სატანისტური ორგანიზაციების ლეგალიზაციას!"

GEWORLD.GE, 12 მარტი

ელიზბარ ღიაკონიძე, დიპლომატი: "უკრაინის რღვევა საქართველოში დასავლეთის მიერ გამოცდილი სცენარით მიმდინარეობს... ყველაზე ერთი კვალი ჩანს, ერთი სცენარით მოქმედებს დასავლეთი და მათი პირველი სამიზნე მართლმადიდებლობა."

ჰამი სომერიკი, ჟურნალისტი: "საკავშირის მმართველობა იმით დასრულდა, რომ მივიღეთ განადგურებული ქვეყანა და გამლიერებული ლგბტ, ანტიეკლესიური კოალიციის და დაკარგული ტერიტორიები. როგორც ჩანს, ფსევდოეროვნული ძალებით ქვეყნის გაყვანა და განადგობა ერთობ მისაღები სცენარია დასავლეთისთვის".
<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=5711>

საქინფორმი 10, მარტი
არნო სიღირაშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი: "დავივიწყეთ, რომ სახელმწიფო გადატრიალებების სათავეში უკრაინასა და საქართველოში, რომლებსაც "ფერად რევოლუციებს" უწოდებენ და რომლებმაც სამოქალაქო ომები და სუვერენიტეტის დაკარგვა გამოიწვია, ამერიკის ხალხი იდგა, რომელთა შორის არ ყოფილა არცერთი ქართველი ან უკრაინელი, არცერთი მართლმადიდებელი ქრისტიანი."

ობიექტივი, ღამის სტუდია 16 მარტი

ვალერი კპარაცხელია, წამყვანი: "ამერიკული დემოკრატია, რომელსაც ის მთელ მსოფლიოში ავრცელებს, ერთობ უცნაური ხასიათისაა. დემოკრატია შეიძლება დაამყარო ბომბებით, ავიამზიდით, ცეცხლით, მახვილით და ასე შემდეგ. (ეთერში გადის ჰუსეინის და კადაფის სიკვდილის კადრები)."

ასავალ დასავალი, 10-16 მარტი

ჯეფრი სიღმერანი, ჟურნალისტი: "ამერიკას სურს საქართველოში მუდმივად არეულობა იყოს, რადგან სწორედ ასეთი საქართველო

აწყობს... ასევე ცდილობენ დესტაბილიზაცია შეიტანონ უკრაინაში."

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: "უკრაინაში ვინ მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება, მალევე კარგად ჩანს ერთ, შემთხვევით აღმოჩენილ ფოტოზე: მაიდანზე გამწვანებულ კარავს მალტის მასონური ორდენის ლოგო ადევს!.. მალტის ორდენი კი მხოლოდ ცხელ "ჩეხურეკებს" ნამდვილად არ არიან დემონსტრანტებისთვის!"

ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება: "მაიდანზე გამოსული რამდენიმე ათასი გამოთავისებულ და მოსყიდული ადამიანია უკრაინელი ხალხი?! და რაც მთავარია ეს "უკრაინელი ხალხის გმირული ბრძოლა" კი არა, დასავლეთის ვერავალი ბრძოლაა რუსეთის წინააღმდეგ, რომელშიც უკრაინელებს საზარბაზნე ხორცად იყენებენ!"

მამსტრო, ასალი 9-ჟმ, 16 მარტი

რემსკოლენი [უტიტროდ]: "ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს მოსახლეობამ გაიგოს, რომ რუსეთი კი არ არის დამნაშავე იმაში, რაც უკრაინაში ხდება, არამედ არის შეერთებული შტატები და ევროკავშირი."

http://www.myvideo.ge/?video_id=2286089

სემსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

რეზონანსი, 12 მარტი

2014 წლის 12 მარტს გაზეთ "რეზონანსში" გართობის რუბრიკაში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით "ჰოლოკოსტის ვარსკვლავები, რომელთაც ჰომოსექსუალები სძულთ". სტატიის სათაური ლგბტ პირების მიმართ სიძულვილის გაღვივებას უწყობს ხელს და წარმოადგენს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პუნქტის დარღვევას დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ სტატიის სათაური და შინაარსი შეუსაბამოა ერთმანეთთან, რადგან მასალა ჰოლოკოსტის იმ ვარსკვლავების (ბრედ პიტ, ანჯელინა ჯოლი) მოსაზრებებსაც შეიცავს, რომლებიც ლგბტ პირების უფლებების დამცველებად გვევლინებიან. სათაურთან შეუსაბამოა ასევე მასალაში მოყვანილი ალენ დელონის ციტატა - "გეი ქორწინების წინააღმდეგ არ გამოვდივარ და არც არავის ვკიცხავ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მათ შვილის აყვანის უფლება არ უნდა ჰქონდეთ".



ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი

ჯემალ ჭაუხაშვილი, ანსამბლ "ერისონის" ხელმძღვანელი: "ბოდიში უნდა მოიხადონ მათ, ვინც საქართველოში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდას ეწევა, ხალხო გადავშენდებით."

ჯაბა ბუბუა, ჟურნალისტი: "რატის [ამაღლობელი] რატიფიცირება ლგბტ საზოგადოებასთან, რომლის დამცველად იგი ხშირად გვევლინება, წარმატებით არის განხორციელებული!"

სემსუაღური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი

ზაზა დავითაია, ჟურნალისტი:

"ახალი 17 მაისი ახლოვდება, როცა დასავლეთის რეაქციული წრეები და სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის ნამსხვრევების მიერ წაქეზებული ლგბტ საზოგადოება კვლავ გამომწვევად შეეცდება ქართველი ხალხის მოთმინებაზე ბუქნაობას, რა მზაკვრობას გვიმზადებენ ამჯერად და როგორ უნდა მოიქცეს ხალხი და ხელისუფლება, რომ მათი ვერაგული ჩანაფიქრი ჩაშალოს?"

დავით ისაკაძე, დეკანოზი: "ალბათ უპირანი იქნება ჩატარდეს პლემბისციტი, სადაც ხალხი დააფიქსირებს ერთსქესიანთა ქორწინების და ლგბტ პროპაგანდის მიმართ თავის დამოკიდებულებას, რასაც შემდეგ კანონის ფორმა მიეცემა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება... ჰომოსექსუალიზმის ქადაგება ქვეყნის გენოციდის ტოლფასია და ქართველმა ხალხმა ეს არ უნდა დაუშვას."

ალექს დელონი, მსახიობი: "ერთსქესიანთა ქორწინებას არ ვებრძვი, ჯანდაბამდე გზა ქონიათ. მე მხოლოდ მათ მიერ ბავშვების შვილად აყვანის წინააღმდეგი ვარ."

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

კვირის ქრონიკა 10 მარტი

გელა ზედელაშვილი, ჟურნალისტი:

„ლამის ყველა ქალი იმახის, სტერეოტიპები უნდა დავამსხვრიო, მეამაყება, ბოზი ვარო!“...



რეაბირება გენდერულ სტერეოტიპებზე

ტაბულა, თეორემა, 13, მარტი

თამარ ჩიხურდანიძე, დემოგრაფიული აღორძინების ფონდი: "ბატონო ვატო, შეიძლება დამამთავრებინოთ აზრი? ბოლოს და ბოლოს მანდილოსანი ვარ"...

თამარ ჩარბოლიშვილი, წამყვანი: "არა, მე მგონი ყველა თანასწორი ვართ, კამათი თანაბრად შეგვიძლია."

ცრურწმენები

GEWORLD.GE, 12 მარტი

შოთა აფსანიძე, პოლიტკატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი: "მართლმადიდებლების კიდევ ერთი დისკრიმინაციის ნათელი გამოვლინებაა «ჩიპიანი» პირადობის მოწმობები."

ზაზა ნანოზაშვილი, ანჩისხატის მომლოცველთა კრებულის ხელმძღვანელი: "პრემიერ მინისტრთან ხელმოწერები შევიტანეთ, მხარს გვიჭერენ, ასევე, ეკა ბესელია და გედევან ფოფხაძე... ხალხს სხვა გზას თუ არ დაუტოვებენ, იძულებული გახდება, აიღოს ელექტრონული მოწმობები, ეს კი ძალდატანებაა. იეღოველებს სისხლის გადასხმა რომ არ უნდათ, არავინ აძალავს. ლგბტ-ც გვიმტკიცებს თავის სიმართლეს და არ ვედავებით, მართლმადიდებლებს ყველაფერი სადავო გვაქვს..."

არის ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, ჩვენნი პატარა ქვეყნები მართონ. ამით კონტროლი ადვილდება. სახარებაში წერია, რომ «ბეჭდის» გარეშე ვეღარ იცხოვრებ, ვერ იყიდი, ვერსად წახვალ, რაც ხდება ამის დასტურია."

საქინფორმი, 13 მარტი

"ორშაბათს "აირზენას" მიერ შესრულებულ თბილისი-ამსტერდამი-თბილისის ავიარეისის მგზავრები ხილული სასწაულის მომსწრენი გახდნენ. ილუმინატორზე გამოსახულება, სავარაუდოდ, წმინდა ნიკოლოზისა იყო."

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18136:2014-03-13-10-46-45&catid=99:actual1&Itemid=419#axzz2vXp9qZXb

MDF
GDI

www.mdfgeorgia.ge

www.gdi.ge

ილ. ჭავჭავაძის გამზირი №54, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , mdfgeo@gmail.com

დ.გამრეკელის #2, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , info@gdi.ge